ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3

ქ. თბილისი

13 აპრილი 2017 წ.

ერთის მხრივ სსიპ თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის ზურაბ ანთელიძის სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ საქართველოს ნოტარიუსი დავით იმნაძე (შემდგომში წოდებული "მომწოდებელი") ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებული დოკუმენტების მომზადება და ნოტარიული დამოწმება.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მიმწოდებელი ასრულებს შემდეგი მოცულობის მომსახურებას:

2.1.1 ორი რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

2.2.2 ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

2.2.3 დოკუმენტის ასლის დამოწმება

2.2.4 სააღსულებო ფურცლის გაცემა.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს:

№		რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება	2	37,40	74,80
2	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება	1	6,72	6,72
3	დოკუმენტის ასლის დამოწმება	1	4,13	4,13
4	სააღსულებო ფურცლის გაცემა	1	120	120
				სულ 205,65

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 205 ლარს 65 თეთრს.

2.5 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.6 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გაწეული მომსახურების შემდეგ 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან") და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.
4.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
4.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
4.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
4.3.1 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.
4.3.2 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.
4.3.3. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება [illegible]ული პირობების შესაბამისად.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.
5.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
6.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. დამატებითი პირობები

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 მაისის ჩათვლით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

8.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. დავათა განხილვის წესი

9.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

დასახელება: სსიპ თსსუ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი,

მის: ქ.თბილისი 0159, პ. სარაჯიშვილის ქ. №36

სახელმწიფო ხაზინის კოდი: TRESGE22
708 987 306

სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 211328703

ფინანსური დირექტორი
ზურაბ ანთელავა

"მიმწოდებელი"

ნოტარიუსი
დავით იმნაძე